



ფლორისა და ფაუნის დიდი მეოხი-ლუდვიგ მლოკოსევიჩი



პოლონეთსა და საქართველოს მრავალწლიანი ისტორია აკავშირებთ. მოხსენებულ ორ სახელმწიფოს შორის არსებობს როგორც პოლიტიკური, ასევე ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული დამაკავშირებელი ბმები. წინამდებარე სტატიის მიზანი სწორედ კულტურის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, ლუდვიგ მლოკოსევიჩის ნვლილის განხილვაა ქართველთა ცხოვრებაში.

პოლონელი მოყვარული ნატურალისტი-ლუდვიგ მლოკოსევიჩი დაიბადა 1831 წლის 25 აგვისტოს, ქალაქ ვარშავაში. მამის გარდაცვალების შემდეგ მან დაიწყო ისეთი საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა, როგორებიცაა: ზოოლოგია, ბოტანიკა და სხვა. სწორედ

აქედან იწყება მლოკოსევიჩის ინფორმირება კავკასიის მთებისა და მისი მდიდარი ბუნების შესახებ. ხოლო თანამდებობიდან გადაყენებული ყოფილი ოფიცრის, ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდეხში გადასახლების შემდეგ, მან დაიწყო აქტიური შესწავლა კავკასიის ბუნების და იმოგზაურა ირანსა და დაღესტანში. მლოკოსევიჩი აკვირდებოდა ბატებისა და წეროების გადაფრენას, მერცხლების მოფრენასა და გაფრენას და სხვა. ამ გამოკვლევების პირველადი შედეგები გამოქვეყნდა მის სტატიაში "შენიშვნები ბუნების პერიოდული მოვლენების შესახებ ლაგოდეხის გარეუბანში (სიღნაღის მაზრა, ტფილისის გუბერნია)". ლუდვიგ მლოკოსევიჩს არ ჰქონდა სპეციალური ბიოლოგიური განათლება. ის მიმართავდა პოლონელ ზოოლოგ-ანტონ ვაგას, რომელმაც აღწერა მლოკოსევიჩის მიერ ნაწიხი სალამანდრა. დროთა განმავლობაში პოლონელ ნატურალისტს დაებადა ეჭვი, რომ ლაგოდეხის მთებში მობინადრე როჭო ევროპულისგან განსხვავდებოდა, რამდენიმე ინდივიდი ბიოლოგებს გაუგზავნა და მათი შესწავლა სთხოვა. ლუდვიგი ასევე თანამშრომლობდა ბოტანიკოსებთანაც და ამდიდრებდა ლაგოდეხში თავის მიერ შექმნილ ბოტანიკური ბაღის კოლექციას.

სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის ლაგოდეხის ნაკრძალის დაარსება. 1889 წელს

ლუდვიგ მლოკოსევიჩმა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ლაგოდების ნაკრძალად გამოცხადების საკითხი დასვა. გეოგრაფიული საზოგადოებისა და მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობით 1912 წლიდან ლაგოდების ტერიტორიაზე აიკრძალა ხის ჭრა, ნადირობა და საქონლის ძოვება. ის ნაკრძალად გამოცხადდა. მლოკოსევიჩმა არაერთი ექსპედიცია მოაწყო ნიკოლაი კუმნეცოვთან ერთად, რის შედეგადაც დამტკიცდა, რომ ლაგოდების ხეობის მცენარეული საფარი აერთიანებს უიშვიათეს მცენარეებს, რომელთა უმრავლესობა ლოკალური, ენდემური სახეობებია.



შეიძლება ითქვას, რომ ლუდვიგ მლოკოსევიჩი საყვარელ საქმეს შეეწირა. დაღესტანში მორიგი ექსპედიციის დროს მძიმედ დაავადდა და მდინარე ჯურმუთის ნაპირას 1909 წლის 22 ივლისს, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. მარმარილოს ფილაზე გაჩნდა წარწერა: "ფლორისა და ფაუნის დიდი მეოხი, ლუდვიგ ფარანცის ძე მლოკოსევიჩი". ნამდვილად აღსანიშნავია, რომ სწორედ პოლონელი ბიოლოგის დამსახურებაა საქართველოს პოპულიზირება ლაგოდების ნაკრძალის მეშვეობით. ეჭვგარეშეა, რომ ეს უკანასკნელი ბიომრავალფეროვნების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია საქართველოსა და კავკასიაში.

ავტორი-ნანუ მენტეშაშვილი